2-6330/20
15-06-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ (N07-3/453; 20.05.2020); საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/454; 20.05.2020); საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/435; 19.02.2020). გარდა ამისა, წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის დადგენილებების პროექტები: „საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ“ (N07-3/381; 01.07.2019), 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შესახებ“ (N07-3/382; 03.07.2019) და „2019 წლის 20 ივნისს განვითარებული მოვლენების შეფასების, მასზე პასუხისმგებელი პირების დადგენისა და „გავრილოვის სიის“ შედგენის შესახებ“ (N07-3/383; 04.07.2019).

აღნიშნულ საკითხებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ვინაიდან ბოლო დროს ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, ხოლო პანდემიით შექმნილი ვითარება ამჟამადაც გარკვეულწილად შემაფერხებელი გარემოებაა საკითხების საკომიტეტო განხილვის კუთხით, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და აღნიშნული საკითხების სრულყოფილად მომზადების მიზნით, ამ საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადები გაგრძელდეს 3 თვით.

N07-3/453 და N07-3/454 ზემოხსენებული საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადების გაგრძელების თაობაზე ასევე მოგვმართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-6288/20
12-06-2020

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2020 წლის 27 მაისის N351/3 გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულო განხილვისთვის გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა გაბუნიას, მერაბ ქვარაიას, გოგა გულორდავასა და კობა ლურსმანაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონების პროექტები: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(№07-3/454; 20.05.2020).**

აღნიშნული ინიციატივის სავალდებულო წესით განხილვის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის წლის 17 ივნისამდე.

ობიექტურ მიმეზთა გამო კომიტეტის მიერ საკითხის დადგენილ ვადაში განხილვა ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელება **1 (ერთი) კვირით.**

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე